საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის II ყოველწლიური კონფერენცია

წინასწარი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი აწყობს II საერთაშორისო კონფერენციასას 2011 წლის 15-19 სექტემბერს, ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში.

კონფერენციის თემებია

- მათემატიკური განათლება და ისტორია;
- მათემატიკური ლოგიკა და პროგრამირება;
- ტოპოლოგია, ალგებრა და რიცხვთა თეორია;
- ნამდვილი და კომპლექსური ცვლადების ანალიზი;
- ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენებები;
- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა;
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი;
- უწყვეტ გარემოთა მექანიკა;
- მათემატიკური ფიზიკა.

დაგეგმილია მოხსენებათა თეზისების გამოქვეყნება კონფერენციის დაწყებამდე.

გაცნობებთ, რომ სარეგისტრაციო შესატანი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრებისათვის იქნება 50 ლარი. ხოლო მათთვის ვინც არ არის კავშირის წევრი, სარეგისტრაციო შესატანი იქნება 70 ლარი. სტუდენტებისათვის სარეგისტრაციო შესატანი იქნება 10 ლარი. ზოგიერთ მონაწილეს, მისი პირადი განცხადების საფუძველზე და სპეციალური განხილვის შედეგად, გაეწევა ფინანსური შეღავათები შესაძლებელობის ფარგლებში.

კონფერენციაზე პრე-რეგისტრაცია შესაძლებელია წერილის გამოგზავნით შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

Batumi2011@gmail.com

წერილით უნდა გვაცნობოთ შემდეგი მონაცემები:

1. გვარი, სახელი;
2. სამუშაო ადგილის მისამართი;
3. ელექტრონული ფოსტის (e-mail) მისამართი,, ტელეფონის და ფაქსის ნომრები;
4. სავარაუდო მოხსენების სათაური.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი:

15 ივნისი, 2011 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა,

30 ივნისი, 2011 - გეცნობებათ მოხსენების ჩართვა კონფერენციის პროგრამაში,

1 აგვისტო, 2011 - მონაწილეთა რეგისტაციის საბოლოო ვადა.

ამის შესახებ ეცნობება კონფერენციით დაინტერესებულ ყველა მეცნიერს, რომელიც გაივლის პრე-რეგისტრაციას და მოგვაწვდის საკონტაქტო (ელექტრონულ) მისამართს.

ეწვიეთ კონფერენციის WEB-გვერდს: **http://rmi.acnet.ge/~gmu/II_Annual_Conference/E_II_Annual.htm**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
დავით ნატროშვილი